N20_MSP_23 N5_XMSP23 N1_3MSP_23 N5_4_MSP23

# მინდობილობა

**შპს „ემკვადრატის პარკი“-ს** (ს/ნ 405116716); **შპს „ემკვადრატის პარკი X-ის”** (ს/ნ 405543452); **შპს „ემკვადრატის პარკი 3-ის”** (ს/ნ 405535693) **შპს „ემკვადრატის პარკი 4-ის”** (ს/ნ 405535559) დირექტორმა **- ნიკოლოზ მემმარიაშვილმა** (პირადი ნომერი 01008013014), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც **„მიმნდობი”**, **შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“-ს დირექტორს - ხათუნა კიკვაძეს (პ/ნ 01017008247) და ამავე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს, ავთანდილ მახარობლიშვილს (პ/ნ 01008018073),** რომლებიც შემდგომში მოხსენიებული არიან ერთად, როგორც **„მინდობილი პირები“,** საზოგადოებების სახელით როგორც ერთობლივად, ისე ცალკ-ცალკე მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„მინდობილი პირები“ უფლებამოსილი არიან ზემოაღნიშნული კომპანიები წარმოადგინონ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება მიწის ნაკვეთებზე ს/კ 01.10.10.025.090; 01.10.10.025.091; 01.10.10.025.092; 01.10.10.025.093; 01.10.10.025.094; 01.10.10.025.095; 01.10.10.025.096; 01.10.10.025.097; 01.10.10.025.098; 01.10.10.025.099; 01.10.10.025.100; 01.10.10.025.102; 01.10.10.025.103; 01.10.10.025.106; 01.10.10.025.107; 01.10.10.025.115; 01.10.10.025.116 განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებას, არქიტექტურული პროექტის/პროექტების შეთანხმებას/კორექტირებას და მშენებლობის ნებართვების გაცემას. კერძოდ, „მინდობილი პირები“ უფლებამოსილნი არიან განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების, არქიტექტურული პროექტების შეთანხმების/კორექტირების, მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ნებისმიერ პროცედურასთან მიმართებით, წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია, ინფორმაცია, მიიღონ მომზადებული პასუხი; საზოგადოების სახელით ხელი მოაწერონ ნებისმიერ განცხადებას, განაცხადს, ოფიციალურ საბუთს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადებებს/განაცხადებს, ჩაიბარონ/გამოიტანონ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირების მიერ მომზადებული ნებისმიერი საბუთი/დოკუმენტი ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

აღნიშნული მინდობილობა ასევე გულისხმობს „მინდობილი პირების“ ნებისმიერ, ამ მინდობილობაში გაუთვალისწინებელი ქმედების უფლებამოსილებასაც, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირების, არქიტექტურული პროექტების შეთანხმების/კორექტირების და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის.

მინდობილობა ძალაში შედის 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**შპს „ემკვადრატის პარკის“**

**შპს „ემკვადრატის პარკი X“-ის**

**შპს „ემკვადრატის პარკი 3-ის**

**შპს „ემკვადრატის პარკი 4-ის**

**დირექტორი**
**ნიკოლოზ მემმარიაშვილი**

001/17022022

# მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

03065/022202160

**ქ. თბილისი, საქართველო** **17 თებერვალი, 2022 წელი**

**სს „ლიბერთი ბანკის“** (მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #74; საიდენტიფიკაციო კოდი - 203828304) (შემდგომში - **მარწმუნებელი** ან/და **ბანკი**) რისკების დირექტორმა **დავით აბაშიძემ** (პირადი ნომერი - 01017020481) წინამდებარე მინდობილობით **გიორგი რობაქიძეს** (პირადი ნომერი - 01005008104), **ნინო კოპალიანს** (პირადი ნომერი - 01017042345) და **გიორგი ჩალაძეს** (პირადი ნომერი - 01025012067) (შემდგომში - **რწმუნებული**) ცალ-ცალკე მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. **მარწმუნებლის** სახელით ხელი მოაწეროს **ბანკის,** როგორც იპოთეკარის თანხმობის წერილებს, კლიენტების საკუთრებაში არსებული ფართების შეერთების / გამიჯვნის, მშენებლობის ნებართვის გაცემის, ხარვეზის გამოსწორების, არქიტექტურული პროექტის მომზადების შესახებ, მხოლოდ იმ პირობით, რომ შეცვლილ ქონებაზე სრულად გავრცელდება **ბანკის** იპოთეკა;

2. წარადგინოს **მარწმუნებლი** საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის არქიტექტურის სამსახურში ზემოაღნიშნული წერილების რეგისტრაციის მიზნით;

3. **რწმუნებულს** უფლება არ აქვს ამ **მინდობილობით** მინიჭებული უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირ(ებ)ს;

4. **მინდობილობა** შედგენილია 2 (ორი) იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

5. **მინდობილობა** ძალაში შედის 2022 წლის 17 თებერვალს და მოქმედებს მარწმუნებლის მიერ მის გაუქმებამდე.

სს „ლიბერთი ბანკი“

დავით აბაშიძე
რისკების დრექტორი

ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -
"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურ"-ს

15.07.2022
06065/022208717

გაცნობებთ, რომ შპს "ემკვადრატის პარკი 4" -ის ( ს/ნ 405535559)კუთვნილი უძრავი ქონება:

საკადასტრო კოდი: 01.10.10.025.115 მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბაქრაძის , N 7 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაშლიჯვარი , მარშალ გელოვანის გამზირი , N 1 ; ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , რესტორან "ვენეცია"-სთან , (ნაკვ. 25/45) ; ქალაქი თბილისი , მარშალ გელოვანის გამზირი N27 ; ქალაქი თბილისი , მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ავტოტექმომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთის წინა 25/9); ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 12351.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:01.10.10.025.089; 01.10.10.025.088; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 12351.00 კვ.მ ;არის დატვირთული იპოთეკით სს "ლიბერთი ბანკი"-ს (ს/კ: 203828304) სასარგებლოდ Nგენ.C82110510.0595.001.02 იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, დამოწმებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, დამოწმების თარიღი 28/06/2022,

სს „ლიბერთი ბანკი", როგორც იპოთეკარი, აცხადებს თანხმობას,ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები, იმ პირობით რომ აღნიშნული არ გამოიწვევს სს „ლიბერთი ბანკი"-ს სასარგებლოდ არსებული იპოთეკის შემცირებას, შესაბამისად იპოთეკა გავრცელდება უკვე არსებულ და შემდგომში დამატებულ ნაწილზეც.

საკრედიტო მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

გიორგი ჩალაძე